

## EHR და ელექტრონული რეცეპტის სისტემებში დაწესებულების რეგისტრაცია

სამედიცინო დაწესებულების მენეჯერის მიერ ელექტრონული რეცეპტის და EHR სისტემების მოხმარების ინსტრუქციის თანახმად ამ სისტემებთან სამუშაოდ სამედიცინო დაწესებულებას გააჩნია მომხმარებლის სახელი და პაროლი (იგივე, რომლითაც ის მუშაობს საყოველთაო ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მოდულებთან). თუ თქვენს დაწესებულებაზე გახსნილია აღნიშნული მომხმარებელი, მაგრამ მაინც ვერ ახერხებთ სისტემაში შესვლას, გთხოვთ მიმართოთ სამინისტროს ცხელ ხაზს. თუ დაწესებულება აქამდე არ მონაწილეობდა არც ერთ სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამაში, ან მონაწილეობდა, მაგრამ მისი მომხმარებელი მოცემული მომენტისთვის გაუქმებულია (გაპასიურებულია), ან აღარ აქვს არც ერთ პროგრამაში მონაწილეობის უფლება, ის ვალდებულია ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია; ამისთვის მან უნდა გამოგზავნოს რეგისტრაციისთვის საჭირო ინფორმაცია და გაიაროს იდენტიფიცირების პროცედურები გამოსაგზავნი ინფორმაციის აღწერილობა და სათანადო განმარტებები მოცემულია თანდართულ ფაილში HCSP\_Registration\_Form.xlsx. ინფორმაცია გამოგზავნეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

[hensp@moh.gov.ge](mailto:hensp@moh.gov.ge);

**დაელოდეთ პასუხს, რომლითაც მიიღებთ მომხმარებლის სახელსა და პაროლს.**